საქმე №4/456-23

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით
ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

10 მარტი, 2023 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნინო ენუქიძე
სხდომის მდივანი მაგდა ყვავაძე,
თამარ ბარნოვი, თათია გურაშვილი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველო;
წარმომადგენლები - ---

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - ---
წარმომადგენელი - ---

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა მასალები ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. 2023 წლის 27 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოდან წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის მასალები **-ის** მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

2. წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლო განხილვისას დადგენილია:

2.1. საქმის მასალებში მითითებულია, რომ 2022 წლის 10 დეკემბერს, სოციალურ ქსელ ,,Tik Tok -ში" --- უცენზურად მოიხსენიებს, აგინებს და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს ქ. თბილისის მერს და მერიის თანამშრომლებს, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულ პოლიციელებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს და სხვა არაიდენტიფიცირებულ პირებს.

2.2. 2023 წლის 26 იანვარს **---ის** მიმართ შედგა №ბე 000094462 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:

3.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელი დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმს და განმარტა, რომ 2022 წლის 10 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება სავარაუდო სამართალდამრღვევ --ის მიმართ. საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ --ემ სოციალურ ქსელ ,,Tik Tok -ში" განათავსა ვიდეო, სადაც ის სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს ქ. თბილისის მერს და მერიის თანამშრომლებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს. ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, სოციალური ქსელი მიიჩნევა საჯარო სივრცედ, რის გამოც --ის ქმედება ექცევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ფარგლებში. ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელი განმარტავს, რომ -- მის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებულ ვიდეოში სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს პოლიციის თანამშრომლებს, შესაბამისად, მისი მხრიდან ადგილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასაც. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, ---ის ქმედება, მისი შინაარსიდან გამომდინარე ცდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, მათ შორის, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერი უტყუარად ადასტურებს --ის ბრალეულობას საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში.

4. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტება:

4.1. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა - **--ემ** დაადასტურა, რომ მან 2022 წლის 10 დეკემბერს ჩაწერა და სოციალურ ქსელ ,,Tik Tok -ში" განათავსა ვიდეო, სადაც ის გამოხატავს პროტესტს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე გზის მოწყობასთან დაკავშირებით. --ის განმარტებით, მისი ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი და ვიდეო მან სოციალურ ქსელში განათავსა ქალაქ თბილისში ყოფნისას. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განმარტა, რომ ის არის აქტივისტი და ხშირად აფიქსირებს საკუთარ ნეგატიურ მოსაზრებას სოციალური ქსელის მეშვეობით სხვადასხვა საკითხებზე, სწორედ ამიტომ დევნიან მას პოლიტიკური ნიშნით, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, ის მაინც ყოველთვის დააფიქსირებს აზრს თავისუფლად, ხოლო უსამართლო მაღალჩინოსნები და პოლიტიკოსები კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

4.2. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენელმა განმარტა, რომ --, რომელიც არის კურიერი და მთელი დღის განმავლობაში მოპედით გადაადგილდება თბილისის ქუჩებში, 2022 წლის 10 დეკემბერს ჩაწერა და სოციალურ ქსელ „Tik Tok-ში" განათავსა ვიდეო, სადაც ის აპროტესტებს ქ. თბილისში, კონკრეტულ ქუჩაზე საგზაო პოლიტიკას. --- ვიდეოში იყენებს უცენზურო სიტყვებს, აკრიტიკებს ხელისუფლების გარკვეულ ორგანოებს, თუმცა ის ამგვარად გამოხატავს პროტესტს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ე.წ. ავტობუსის ხაზზე მხოლოდ პრივილეგირებულ ადამიანებს შეუძლიათ გავლა, ხოლო ჩვეულებრივ ადამიანებს ამის გამო პოლიცია აჯარიმებს. წარმომადგენელი განმარტავს, რომ -- არის სოციალურად აქტიური ადამიანი და ის ხშირად მიმართავს სოციალური ქსელით პროტესტის გამოხატვის ფორმას. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენელი უთითებს სხვადასხვა სასამართლოების მიერ მიღებულ დადგენილებებზე და განმარტავს, რომ სოციალური ქსელი არ მიიჩნევა იმგვარ საჯარო სივრცედ, სადაც ჩადენილი ქმედება ექცევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების სივრცეში, ვინაიდან თითოეული ადამიანის არჩევანია, მოუსმენს თუ არა სხვის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებულ ვიდეოს. ამასთან, წარმომადგენლის განმარტებით, --მ ვიდეოს დასაწყისში გააკეთა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ვიდეო იყო გინების შემცველი და ვისაც არ სურდა, ნუ მოუსმენდა. რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, წარმომადგენელი განმარტავს, რომ --- შეურაცხმყოფელ მიმართვას არ ჰყავს კონკრეტული ადრესატი და არ არის მიმართული კონკრეტული პოლიციელისაკენ, გამონათქვამს აქვს პირობითი ხასიათი და ამავე დროს ადგილი არა აქვს პოლიციელის შეურაცხყოფას

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რის გამოც --ის მიერ ჩადენილი ქმედება ვერ მოექცევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების სივრცეში. შესაბამისად, --ის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ზემოთხსენებული ორივე მუხლით უნდა შეწყდეს.

5. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები:

5.1. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ ვიდეოჩანაწერში ასახულია --ის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

6. სამართალდარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები:

6.1. 2023 წლის 26 იანვრის №ბე 000094462 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
6.2. ინფორმაცია პიროვნების შესახებ;
6.3. შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ცნობები;
6.4. პატაკები;
6.5. სატელეფონო გასაუბრების შესახებ ოქმი;
6.6. ვიდეოჩანაწერი.

7. წარმოდგენილი საქმის მასალებით და სასამართლო განხილვისას დადასტურებულია -ის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, შემდეგ გარემოებათა გამო:

7.1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ზოგადად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში კი, მოცემული საქმის კანონიერი გადაწყვეტა, ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ფაქტობრივი გარემოებების სწორ დადგენაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტების კვალიფიციურ დადგენას, საქმეში დაცული მტკიცებულებების სწორ შეფასებას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების ამხანაგური სასამართლოს, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივისათვის განსახილველად გადასაცემად, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

აღნიშნულ ნორმათა შეფასების საფუძველზე სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გადაწყვეტა ემყარება საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენასა და მტკიცებულებების სწორ შეფასებაზე დაყრდნობით ხდება სასამართლოს მიერ ქმედების სწორი კვალიფიკაცია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, no. 10590/93, 06/12/1988, პუნქტი 68). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Bulychevy v. Russia, no. 24086/04, 04/10/2010, პუნქტი 32).

7.2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა – საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

მითითებული მუხლის მიხედვით, წვრილმანი ხულიგნობის შემადგენლობისათვის ქმედება ჩადენილი უნდა იყოს საზოგადოებრივ ადგილას და ასევე უნდა დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე. საზოგადოებრივ ადგილს წარმოადგენს ადგილი, სადაც საზოგადოების გარკვეული წევრები არიან შეკრებილნი ან/და საზოგადოებისათვის საერთო სარგებლობის სივრცე და სადაც ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები. სასამართლო განმარტავს, რომ წვრილმანი ხულიგნობისაგან დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და ადამიანის ხელშეუხებლობა. საზოგადოებრივი წესრიგი არის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდესა და ცხოვრების ნორმალურ რიტმს. ხულიგნობა არის ქმედება, რომლისთვისაც დამახასიათებელია პირის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დაარღვევა და ეს ქმედება უნდა გამოხატავდეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. ხულიგნობისათვის დამახასიათებელია მიზანმიმართულობა, უხამსობა, მისი მოტივი და მიზანი პირის მისწრაფებაა, დაუპირისპირდეს საზოგადოებას, მის წევრებს, დაუმტკიცოს მათ აგრესიული ქმედების ჩადენით, რომ არაფრად აგდებს გაბატონებულ ზნეობრივ ნორმებს, რაც ქმედების განმახორციელებლის აზრით, მის უპირატესობას ადასტურებს საზოგადოების სხვა წევრების მიმართ.

სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონი ევოლუციურად უნდა განიმარტოს, და საზოგადოების თავშეყრის ადგილად შეიძლება მიჩნეული იქნას ასევე სოციალური ქსელი, რომელიც დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების

ყოველდღიურ ცხოვრებაში და განუსაზღვრელი წრისათვის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას წარმოადგენს.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნა: გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან.

სასამართლო განმარტავს, რომ ,,Tik Tok“ არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი, შესაბამისად, მასზე ვიდეოს გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სოციალური ქსელი წარმოადგენს ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის წყაროს. თანამედროვე პირობებში, იგი ინფორმაციის გამოაშკარავების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა, მასზე განთავსებული ინფორმაციის ადრესატი არის პირთა განუსაზღვრელი წრე. შესაბამისად, მითითებული სოციალური ქსელი მიჩნეული უნდა იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით განსაზღვრულ საზოგადოებრივ სივრცედ და ადგილად.

,,სოციალური ქსელი საზოგადოების ჩვეულებრივი თავშეყრის ადგილიდან განსხვავდება იმით, რომ ადამიანებს ერთმანეთთან კომუნიკაცია უწევთ ტექნიკური საშუალებით (კომპიუტერი, ტელეფონი, სმარტფონი და ასე შემდეგ), მათ შეუძლიათ გაეცნონ ერთმანეთის პოსტებს, ასევე ვიდეოს ატვირთვის ან პირდაპირი ტრანსლაციის შემთხვევაში უყურონ მათ და ასე შემდეგ, ხოლო საზოგადოების ჩვეულებრივ თავშეყრის ადგილას ეს ყველაფერი ხდება ტექნიკური საშუალების გამოყენების გარეშე პირდაპირი, ვიზუალური, მხედველობითი და სმენითი აღქმით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცული სიკეთე - საზოგადოებრივი

წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე შეიძლება ხელყოფილი იქნას როგორც ჩვეულებრივი თავშეყრის ადგილას, ასევე სოციალური ქსელით (რომელიც, როგორც უკვე შეფასდა, საზოგადოების თავშეყრის ადგილია), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ,,Tik Tok-ის“ მომხმარებელი, რომელიც საზოგადოების წევრია, უნდა დავავალდებულოთ, რომ არ შეხედოს, არ წაიკითხოს, არ მოუსმინოს და არ აღიქვას სხვა მომხმარებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოცემულ შემთხვევაში ხულიგნობა), რაც საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს უდავოდ არღვევს“ (იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 07 მაისის საქმე № 4/ა-183-20 დადგენილება).

ამდენად, სოციალური ქსელი, მათ შორის ,,Tik Tok“, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და ნებისმიერ პირს აქვს ვალდებულება დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები.

რაც შეეხება საზოგადოებრივ წესრიგს, ეს არის საზოგადოების წევრთა ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ საზოგადოების სიმშვიდეს და გამოხატულებას ჰპოვებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ღირსეულ ქცევაში. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი პასუხისმგებლობა სწორედ საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის მიზანს ემსახურება.

7.3. სასამართლო ხაზს უსვამს დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას და მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტი დასაშვებად მიიჩნევს ამ უფლებათა შეზღუდვას მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. იმავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია

ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს, ხოლო მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს: ა) პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განხორციელებისაკენ; ბ) კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის; გ) არადისკრიმინაციული; დ) პროპორციულად შემზღუდველი.

მითითებული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება უხამსობას.

სასამართლო ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამრთლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად
მე-10 მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის გამომხატველი უფლება, იგი შეიძლება შეიზღუდოს, რაც ნიშნავს იმას, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მასში ჩარევა გამართლებულია. ჩარევის მიზანია ერთი ან მეტი ინტერესის ან ღირებულების დაცვა, მათ შორის, ისეთის, როგორიცაა სხვათა რეპუტაცია და სხვა უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სიძულვილის ენა შეუთავსებელია ევროპული კონვენციით გარანტირებულ ისეთ ძირითად ღირებულებებთან, როგორიცაა ტოლერანტობა, სოციალური მშვიდობა და ანტი-დისკრიმინაციული მიდგომები.

სასამართლო ასევე მოიხმობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 11.04.2013 წლის №1/2/503,513 გადაწყვეტილებას, რომლის სამოტივაციო ნაწილის 71-ე პუნქტით განიმარტა, რომ ,,ადამიანის უფლების

შეზღუდვის მიზანს ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს სხვა კონსტიტუციური სიკეთის დაცვა, რადგან უფლების შეზღუდვის საჭიროება, ზოგადად, იმ შემთხვევაში დგება, როდესაც ამ უფლების რეალიზება შემხებლობაში მოდის სხვათა უფლებებთან ან დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებთან. აღნიშნულ კონტექსტში თანაზომიერების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყურადსაღებია სამართლებრივი სიკეთისადმი მოსალოდნელი საფრთხის სიმძიმე. სამართლებრივი სიკეთე, ერთი მხრივ, წარმოდგენილია კონკრეტული უფლების სახით, რომლის შეზღუდვაც ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომლის დაცვასაც ემსახურება შესაბამის უფლებაში ჩარევა“.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით, როგორც ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შემზღუდველი კანონის ნორმით, წვრილმანი ხულიგნობისაგან დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და ადამიანის ხელშეუხებლობა.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ არის და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირიც ადასტურებს, რომ 2022 წლის 10 დეკემბერს, სოციალურ ქსელ ,,Tik Tok -ში“ განათავსა ვიდეო, სადაც გამოხატავს პროტესტს საგზაო პოლიტიკის მიმართ, აგინებს და უცენზურად მოიხსენიებს ქ. თბილისის მერს, მერიის თანამშრომლებს, პოლიციელებს და სხვა არაიდენთიფიცირებულ პირებს, რაც სასამართლოს მოსაზრებით, სცილდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

ამდენად, სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების ერთობლივი გამოკვლევა-შეფასების შედეგად, მოცემულ შემთხვევაში დადგენილად მიაჩნია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევის არსებობა და --ის ბრალეულობა მის ჩადენაში, რამდენადაც საქმის განხილვით დადასტურდა ხსენებული პირის მიერ ხულიგნური ქვენაგრძნობით განპირობებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რითაც დარღვეული იქნა საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა მოქალაქეთა სიმშვიდე, ხოლო საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები კი წარმოდგენილი არ არის.

7.4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური

ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა) - გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე ძირითად წინაპირობას, კერძოდ, პირი, რომელიც გასცემს განკარგულებას ან მოთხოვნას, უნდა იყოს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, აღსრულების პოლიციელი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურე ან მასთან გათანაბრებული პირი; ეს პირი განკარგულების გაცემის დროს უნდა ასრულებდეს სამსახურებრივ მოვალეობას; პირის მიერ გაცემული განკარგულება ან მოთხოვნა უნდა იყოს კანონიერი და მოქალაქე არ უნდა დაემორჩილოს გამოცემულ განკარგულებას ან მოთხოვნას; **სამართალდარღვევას ასევე წარმოადგენს ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება.**

,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით დადგენილია, რომ პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო. პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შესრულება ყველასთვის სავალდებულოა. არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელისთვის ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ზემოთაღნიშნული სამართლის ნორმების, წარმოდგენილი საქმის მასალების, მათ შორის ვიდეო ჩანაწერის და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლოს მიაჩნია, რომ დადასტურებულია **--ის** მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

კერძოდ, --მ 2022 წლის 10 დეკემბერს, სოციალურ ქსელ ,,Tik Tok-ში“ განათავსა ვიდეო, სადაც ის სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს. აღნიშნულის საწინააღმდეგო პოზიციის გასამყარებლად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. საქმის მასალებში წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს დეტექტივის, პოლიციის მაიორის ---ის 2022 წლის 10 დეკემბრის პატაკი, სადაც მითითებულია, რომ 2022 წლის 10 დეკემბერს, ,,Tik Tok -ის“ დათვალიერებისას მას შეხვდა ვიდეო ფაილი, რომელიც ატვირთული იყო -- მიერ. ვიდეოში -- სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს პოლიციის თანამშრომლებს.

სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მის გინებას არ ჰყოლია კონკრეტული ადრესატი, ამავე დროს, მისივე განმარტებით, პოლიციის თანამშრომლების მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რის გამოც მისი ქმედება არ ექცევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების არეალში. სასამართლო მიიჩნევს, რომ --ის მიერ 2022 წლის 10 დეკემბერს ჩადენილი ქმედება, კერძოდ, სოციალურ ქსელში განთავსებულ ვიდეოში ასახული სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით განსაზღვრულ ქმედებას. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული ვიდეო შეიცავს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების სიტყვიერ შეურაცხყოფას მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებიდან გამომდინარე. ეს ვიდეო სოციალურ ქსელში ნანახი იქნა კონკრეტული პოლიციელის მიერ და აღქმული იქნა შეურაცხყოფად, რასაც მოჰყვა შესაბამისი შედეგი - სამართალდამრღვევი პირის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.

8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩამდენის

აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

დასახელებული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს არა სუბიექტის დასჯა, არამედ პრევენციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელება, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული მსგავსი გადაცდომა. სასამართლო ვალდებულია ყოველი კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში, გაითვალისწინოს არსებული სიტუაციის თავისებურება, გადაცდომის ხასიათი და სახდელის შეფარდების პროცესში იხელმძღვანელოს თანაზომიერების პრინციპით, რაც გამოიხატება კანონით დაცული ინტერესების ბალანსის დადგენაში. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ კონკრეტული სახდელის გამოყენებისას, ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით სახდელის შეფარდების/გამოყენების საკითხი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური ხასიათის და პროპორციული სამართალდამრღვევის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმესთან/ბრალის ხარისხთან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის.

სასამართლო დასახელებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტად --ეს მიიჩნევს, რომელსაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 და 33-ე მუხლების შესაბამისად და 36-ე მუხლით დადგენილი წესის გამოყენებით, ამავე კოდექსის 173- ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციის ფარგლებში უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამასთან, მიიჩნევს, რომ დამრღვევის პიროვნების, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ჯარიმის გამოყენება უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სახდელის საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობით დადგენილი მიზნების მიღწევას, ასევე სასამართლო მხედველობაში იღებს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათს, ბრალის ხარისხს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8, მე-10, 33-ე, 36-ე, 166-ე, 173-ე, 266-268-ე, 271-ე, 290-ე, მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. --- ცნობილი იქნას სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვროს ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

2. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ მან დაკისრებული სახდელი (ჯარიმა) უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. აღნიშნული ვადის დინება არ შეჩერდება დაჯარიმების შესახებ დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე სასამართლო დადგენილების ნომერი და გამოტანის თარიღი.

თანხა უნდა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში, ერთიანი ანგარიშის №200 122 900, სახელმწიფო ხაზინის კოდი №220 101 222, სახაზინო კოდი №300 773 254;

თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილი იქნას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

3. დადგენილების ასლი გადაეცეს სამართალდამრღვევს და სამართალდარღვევის ოქმის შემდგენს;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთათვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: თბილისი, გრ, რობაქიძის 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მის: თბილისი, დავით

ალმაშენებლის ხეივანი №64).

მოსამართლე **ნინო ენუქიძე**